პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 9 (12521) | პარასკევი, 11 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ზაროვების მებრძოლი კომიტეტი

სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის პირველი კონფერენციის დელეგატთა შორის.

ფოტო კ. სახეიშვილისა.

შვიდწლედის მეცხუთე წლის პირველ დღეებში

შრომითს ვახშზე

უპატაკებენ სამშობლოს

„სამგორწყალმშენის“ ტრესტის კოლექტივის წარმატება

„სამგორწყალმშენის“ ტრესტის (მმართველი შ. გიორგაძე, მთავარი ინჟინერი ა. კალანდაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ტ. ზოვანი, ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ლორთქიფანიძე) კოლექტივმა, რომელიც აღფრთოვანებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით და გათვალისწინებული აქვს წყალთა მეურნეობის ობიექტების მშენებლობის განსაკუთრებული მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების საქმეში, 105 პროცენტით შეასრულა 1962 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა, აქედან სახალხო-სამეურნეო გეგმის ობიექტებისა — 104 პროცენტით, სამშენებლო ინდუსტრიის ობიექტებისა — 121 პროცენტით, წყალთა მეურნეობის სამინისტროს ობიექტებისა — 103 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადაეცა 5.200 ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობი და 1.350 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ტრესტის კოლექტივმა აკისრა ვალდებულება მოიპოვოს ახალი, უფრო დიდი წარმატებანი მომდინარე წელს. (საქდესი).

შრომაც ასეთი უნდა

თეთრი წყარო. („კომუნისტის“ კორ.). გაზაფხულისათვის მზადებაში თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოში პირველობას არავის უთმობს სოფელ ასურეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა. აქ 25 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, სათესი მანქანები აქვთ. მექანიზატორებმა იმარჯვეს და ყველა ტრაქტორი სამეშვიდოდ შეაკეთეს.

ასურეთელები ამ გაზაფხულზე 1.000 ჰექტარზე მეტ თავთავიან მარცვლეულ კულტურებს დათესავენ. ამავე დროს დათესება 300 ჰექტარი სიმინდი. აქედან 100 ჰექტარი სიმინდი კომპლექსური მექანიზაციით დამუშავდება. ყველა სახის თესლი მოიმარაგეს და სრულ კონდიციამდე აიყვანეს.

გიძაშვილების „მერანი“

სილნაღი. (საკ. კორ.). ბიძაშვილების „მერანი“ ასე უწოდეს „დტ-54“ მარკის № 33 ტრაქტორს ზემო მაჩხანის საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის წევრებმა. მართლაც და, მექანიზატორებს — ბიძაშვილებს გურამ და გიორგი ქადაგიძეებს მუშაობაში ბადალი არა ჰყავთ. კარგ მოვლის შედეგად ტექნიკა სრული წარმადობით მუშაობს.

გასულ წელს ქადაგიძეებმა 260 ჰექტარი სიმინდისა და მზესუმზირას ნათესი კომპლექსური მექანიზაციით დაამუშავეს, ამ ნაკვეთებში კოლმეურნეებს ხელით შრომა არ დასჭირვებიათ. საშემოდგომო ხვნა-თესვა, მზრალად ხვნა წარმატებით დაამთავრეს. წარჩინებულმა მექანიზატორებმა ამ ტრაქტორით 1.600 ჰექტარი სამუშაო შეასრულეს. გეგმა კი ამის ნახევარს ითვალისწინებდა. კოლმეურნეობის გამგეობას 3.300 კილოგრამი საწვავის დაზოგვა უპატაკეს.

ბიძაშვილების „მერანი“ მალე საგაზაფხულო ხვნას დაიწყებს.

ფეიქართა წარმატება

ზვიადწლედის მეხუთე წელი ახალი შემართებით დაიწყო თბილისის პირველმა სატრიკოტაჟო ფაბრიკის კოლქმეურნემა. აქ იანვრის პირველი დეკადის დავალება 101,2 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ზედა ტრიკოტაჟი 500 ცალი.

ფაბრიკის საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვის მხვეველ ნ. გიუნაშვილს, რომლის შრომის შედეგი ყოველდღიურად 125 პროცენტს აჭარბებს. შრომაში მას არ ჩამორჩებიან მკერავი ნ. აბრამოვა და მჭედელი მ. ბალმაკოვა. ამ უკანასკნელებმა იანვრის ათი დღის დავალება 130 პროცენტით გაანაღდეს.

გულითადი მისალმება

სპპკ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი გულითადად მიესალმა ახალგაზრდა მეყაძირეებს, რომლებმაც თავი მოიყარეს ტრადიციულ შეკრებაზე ქალაქ ცელინოგრადში.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მთელ საბჭოთა ხალხს, ნათქვამია მისალმებაში, ახარებთ ის, რომ ახალი მიწების ათვისების წლებში ყაზირის მხარემ სამშობლოს მისცა 3 მილიარდ 400 მილიონი ფუთი პური, 1 მილიონ 400 ათასი ტონა ხორცი, 3 მილიონ 600 ათასი ტონა რძე და დიდძალი სხვა პროდუქცია.

სასიხარულოა, წერს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ ყაზირის ათვისებისათვის ბრძოლაში აღზრდის კარგი სკოლა გაიარა ათასობით ქალიშვილმა და ჭაბუკმა, რომელთათვის ყაზირი მშობლიურ სახლად გადაიქცა.

პარტია მეყაძირეების წინაშე სახავს დღეს და პასუხსაგებს ამოცანებს. ზვიდწლედის მეხუთე წელს მხარემ სახელმწიფოს უნდა მისცეს 800 მილიონი ფუთი მარცვალი, 300 ათასი ტონა ხორცი, 810 ათასი ტონა რძე და მეცხოველეობის ბევრი სხვა პროდუქტი.

ამ ამოცანათა განხორციელებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ახალგაზრდობამ, ყაზირის მხარის კომკავშირმა. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ახალგაზრდობა კვლავაც ახლისათვის, მოწინავისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყოს, ეუფლებოდეს ტექნიკას, წარმოების ეკონომიკას, იბრძოდეს ყაზირის თითოეული მეურნეობის რენტაბელობისათვის.

ახლა ყაზირზე შეიქმნა კარგი პირობები იმისათვის, რომ 1963 წელს უხვი მოსავალი მოიწიოს, საკმაოდ არის ტექნიკა.

ნიკიტა სერგის-ძე გამოთქვამს რწმენას, რომ ახალგაზრდა მეყაძირეები არ დაიშურებენ ძალღონეს ამ კეთილშობილურ ამოცანათა გადაჭრისათვის და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გადააქცევენ 1963 წელს ყაზირზე ახალ გამარჯვებათა წლად. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა უსურვა ახალგაზრდა მეყაძირეებს დიდი წარმატებანი შრომაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. (საქდესი).

ნ. ხრუშჩოვისა და ნ. პოდგორნის ვიზიტი

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გომულკამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა სთხოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ნ. ვ. პოდგორნის, რომლებიც მეგობრული ვიზიტით ეწვივნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, პოლონეთში დროებით დაყოფნის დროს მოაწყონ მეგობრული შეხვედრა მშრომელ ხალხებთან.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ვ. პოდგორნის პოლონეთში ვიზიტის მიზანია ორ ძმურ სოციალისტურ სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცება.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ვ. პოდგორნის პოლონეთში ვიზიტის ამბავი ენთუზიაზმით მიიღეს პოლონეთის ხალხის ფართო მასებმა.

დაწინაურებული საამქრო

თბილისის ავეჯის საწარმოთა გაერთიანება „განთიადის“ სათავო საწარმოში შვიდწლედის მეხუთე წლის პირველ დღეებში ახალ შრომითს წარმატებას მიაღწია საფანერე საამქრომ, რომელსაც გ. თორაძე ხელმძღვანელობს. პირველ რვა დღეში აქ გეგმის გადამეტებით 3.600 კვადრატული მეტრი ფანერა გამოუშვეს. ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ფანერის დამამზადებელი შ. ინასარიძე, ფანერის მჭრელი პ. ვანიევი, მშრობელი დ. ტარიელაშვილი და სხვები.

ბრიგადებს შორის დაწინაურდა მწნეხავთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც სკკპ XXII ყრილობის დელეგატი ე. ბადრაძე უძღვება. რვა დღის დავალება ბრიგადამ 105 პროცენტით გაანაღდა.

ერედველთა შემართება

მევენახეთა ბეჭითი შრომის შედეგად ერედვის საყრდენ-საჩვენებელმა საბჭოთა მეურნეობამ გასულ წელს პირნათლად შეასრულა სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი. 1.750 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყავდა 2.230 ცენტნერი ყურძენი.

განსაკუთრებული ქება დაიმსახურეს ნ. ბერუაშვილის ბრიგადის წევრებმა. ახალი წლის პირველ დღეებში ისინი კარგად აყენებენ ხელსაყრელ ამინდებს და ბაღ-ვენახში ორგანიზებულად შრომობენ. ტრაქტორისტმა ნოდარ ბერუაშვილმა ყველაზე ადრე დაამთავრა ხეხილის ბაღში რიგთაშორის ხვნა. წარმატებით მიმდინარეობს სასუქების შეტანა. სასუქების შეტანისა და ბეჭითად შრომობენ ბ. ქუჩნაშვილი, ხ. ტარელაშვილი, დ. ოზგებიშვილი, მ. ცოტნიაშვილი და სხვები.

ბრიგადის წევრებმა დიდი ნაწილი ვენახები ბორდოს სითხით დაამუშავეს. ამჟამად ისინი ხეხილის ბაღში ჩრდილოეთის ქარსაფარ ზოლებს აშენებენ.

ბრიგადის წევრებმა ამ ზამთარში ნაკელის ტრანშეებში ჩაყრა დაიწყეს. ნაკელის ტრანშეებში ჩაყრა ბრიგადის წევრებმა ამ ზამთარში

(დასასრული)

წარმოების მებრძოლი კომიტეტი

მეურნეობის სწორად გაძღოლა, მოწინავე აგრონომიული მეცნიერების საფუძვლები — აი პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი საქმე.

ბევრი ორატორი შეჩერდა მეცხოველეობის განვითარების რეზერვებზე, იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ისინი თავიანთ მეურნეობებში ანხორციელებენ. მაგრამ კონფერენციის მონაწილეთა სიტყვებიდან ნათელი გახდა ერთი — ხაზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ტემპი მაინც დიდად ჩამორჩება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს.

უკანასკნელ წლებში თუმცა საგრძნობლად გაუმჯობესდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგის სტრუქტურა, გაიზარდა ძროხების წველადობა, მაგრამ ბევრ კოლმეურნეობაში მეცხოველეობას ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა. პირუტყვის სულადობის გეგმები არ შეუსრულებიათ პირველი მაისის დიმიტროვის, შუაბორგის ენგელსის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებს. ქვალონის მეღორეობის სბ-ების მეურნეობამ სახელმწიფოს დააკლო 668, ხოლო ჭალადიდის სბ-ების მეურნეობამ — 255 სული ღორი.

ბევრი ორატორი უჩიოდა იმას, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და სბ-ების მეურნეობებში ძალზე ძვირია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, ამაზე კი განსაკუთრებით მოქმედებს სუსტი საკვები ბაზა.

რა არის ამის მიზეზი?

რუხის საცდელ-საჩვენებელ კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარემ ა. კუტალიამ პასუხი გასცა ამ კითხვაზე. მან მოიყვანა ფაქტები, რომ წინა წლებში რუხის კოლმეურნეობაში ძალზე ძვირი უჯდებოდათ ხორცისა და რძის წარმოება, მაგრამ, აი გასულ წელს მოხდა ძვრები. პირუტყვის მთელ საკვებს ძირითადად კოლმეურნეობაში ამზადებენ. სიმინდს იყენებენ სილოსად, შვრიას — მწვანე საკვებად. დამზადებულია დიდი რაოდენობით თივა, ფერმებში დანერგეს მექანიზაცია, რომელმაც ერთიორად შეამცირა მომსახურე პერსონალი. 1962 წელს 1961 წელთან შედარებით ძრძ თვითღირებულება 16 პროცენტით შეამცირეს, ხოლო ღორის ხორცის წარმოებისა — 36 პროცენტით.

რუხელ კოლმეურნეთა გამოცდილება ყურადღების ღირსია.

კონფერენციის მთელს მუშაობას წითელ ზოლივით გასდევდა ზრუნვა სახოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. მომხსენებელი და კამათის მონაწილეები ხაზს უსვამდნენ, იმას, რომ სახოგადოებრივი მეურნეობა არის ძირითადი, კოლმეურნეთა შემოსავლისა და სახელმწიფოს ეკონომიკის განმტკიცების მთავარი წყარო, ხოლო დამხმარე მეურნეობა უნდა იყოს კოლმეურნეთა დამატებითი შემოსავლის წყარო.

რა ამოცანის წინაშე დგას ამ მხრივ ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია, რას უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა, რომელსაც კონფერენცია აირჩევს?

საინტერესო იყო საწარმოო სამმართველოს უფროსის ა. ჭეჟიას გამოსვლა. ის ფაქტები, რომელიც ორატორმა მოიყვანა: თუ ისეთ დარგში, როგორიც ჩაის წარმოებაა, საზოგადოებრივ მეურნეობებზე მოდის 99 პროცენტი, სამაგიეროდ უყრძნის, დაფინის და სხვა კულტურების წარმოებაში ჯერ კიდევ მეტად მცირეა საზოგადოებრივ მეურნეობათა წვლილი.

საზოგადოებრივ მეურნეობებში ვენახს მხოლოდ 25,4 პროცენტი უკავია, ხოლო დაფნას — 21 პროცენტი.

არასახარბიელო მდგომარეობაა მეცხოველეობის სულადობის მხრივაც. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა საზოგადოებრივ მეურნეობებში მხოლოდ მესამედია.

რატომ ხდება ასე?

კოლმეურნეობების გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები, როგორც ჩანს, ამ ფაქტს სათანადოდ არ აფასებენ.

როგორც კონფერენციაზე ითქვა, ბევრ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული შრომის სწორი ანაზღაურება, შრომადღეების ხარჯვა გაბერილია, რაც ადიდებს თვითღირებულებას.

— ბევრგან, — განაცხადეს კონფერენციაზე, — დარღვეულია კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი.

კომუნისტებმა საწარმოო სამმართველოს პარტორგანიზაციას თავისი განაწესი წაუყენეს იმ მხრივაც, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლის ღონისძიებანი იმ პირთა შიმართ, რომლებიც არ შრომობენ, ეძებენ ცხოვრების იოლ გზას, ჩადიან ჩვენი საზოგადოების წევრისათვის შეუფერებელ საქციელს.

— ასეთი ადამიანების ფეხქვეშ, რომლებიც სინდისს საკარმიდამო ნაკვეთში ტოვებენ, მიწა უნდა იწვოდეს! — განაცხადა ჭკადუაშის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ო. ანთიძემ.

სოფლის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის აღზრდაზე ილაპარაკეს მილიციის რაიონული განყოფილების უფროსმა ა. გაგუამ, კომკავშირის წალენჯიხის რაიკომის მდივანმა ო. მესხიამ, განათლების განყოფილების გამგემ მ. ნურმანიამ.

კონფერენციის მონაწილენი ერთხმად აცხადებდნენ, რომ ახალმა პარტიულმა კომიტეტმა წარმოებისადმი ხელმძღვანელობას უნარიანად უნდა შეახამოს აღზრდის, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის უველა საკითხი.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის წინაშე დააყენა კონკრეტული ამოცანები და გამოთქვა რწმენა, რომ გამხსნელებული რაიონის კომუნისტები მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

კონფერენციამ მიიღო ვრცელი ღონისძიება, რომლითაც საწარმოო სამმართველოს ახალ პარტიულ კომიტეტს დაუსახა კონკრეტული ამოცანები, აირჩია პარტიული კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა პირველი პლენუმი, რომელმაც ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია ა. ქვარაცხავა, მოადგილეებად — ა. წურწუმია და ი. ჩიქავა.

ალ. ზურაშვილი,
გ. ნოდია.

ახალი პარტიული კომიტეტები

ყვარელი. (საკ. კორ.). 400-მდე დელეგატმა ყურადღებით მოისმინა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის გ. ზაუტაშვილის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

დელეგატებმა ი. ყაველაშვილმა, ა. რეხვიაშვილმა, ა. მამულაშვილმა, შ. კაპანაძემ, ვ. უწვიაძემ და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში მკაცრად გააკრიტიკეს ცალკეული სახოგადოებრივი მეურნეობების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. დ. მამულაძე.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება და აირჩია პარტიული კომიტეტი 71 წევრისა და 23 კანდიდატის შემადგენლობით.

პლენუმმა ყვარლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია **გ. ზაუტაშვილი,** მოადგილეებად — **შ. ოსიაშვილი** და **შ. გოზალიშვილი.**

ბაღდათი. (საკ. კორ.). 9 იანვარს გაიმართა ბაღდათის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კონფერენცია. მოხსენებით — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები და სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ — გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს წევრი ი. ყიფიანი.

კამათში მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა.

არჩეულია პარტიული კომიტეტი 59 წევრისა და 17 კანდიდატის შემადგენლობით.

პლენუმმა პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია **ვ. კოკაია,** მოადგილეებად — **ა. ქავთარაძე** და **ვ. ეზუგბაია.**

კონფერენციასა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ვ. ჩიქოვანი.**

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიები

ზესტაფონი, 8 იანვარი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რაიონული დაქვემდებარების ქალაქი ზესტაფონი მიეკუთვნა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის კატეგორიას, ამასთან დაკავშირებით გაიმართა საქალაქო საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ აირჩია საქალაქო საბჭოს აღმასკომის ახალი შემადგენლობა. ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია **გ. ლილუაშვილი.**

ქობულეთი, 8 იანვარი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რაიონული დაქვემდებარების ქალაქი ქობულეთი გარდაიქმნა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად. ამასთან დაკავშირებით გაიმართა ორპირის საქალაქო საბჭოს სესია.

სესიამ აირჩია საქალაქო საბჭოს აღმასკომის ახალი შემადგენლობა. ორპირის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია **ვ. ქეცბა.**

ოზურგეთი, 8 იანვარი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რაიონული დაქვემდებარების ქალაქი ოზურგეთი გარდაიქმნა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად. ამასთან დაკავშირებით გაიმართა ოზურგეთის საქალაქო საბჭოს სესია.

სესიამ აირჩია საქალაქო საბჭოს აღმასკომის ახალი შემადგენლობა. ოზურგეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია **ვ. ჭეცბა.**

რაიონული საბჭოების გაერთიანებული სესიები

ზესტაფონი. აქ ჩატარდა ორჯონიკიძის, ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონული საბჭოების გაერთიანებული სესია.

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი. იმასთან დაკავშირებით, რომ ზესტაფონის, ორჯონიკიძისა და თერჯოლის რაიონები ერთ — ზესტაფონის რაიონად გაერთიანდნენ, სესიამ ზესტაფონის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია **ლ. ბერაძე.**

საჩხერე. აქ გაიმართა საჩხერის რაიონული საბჭოს და ჭიათურის საქალაქო საბჭოს გაერთიანებული სესია.

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი. იმასთან დაკავშირებით, რომ საჩხერის რაიონი და ჭიათურის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში შემავალი სასოფლო საბჭოების ტერიტორია ერთ საჩხერის რაიონად გაერთიანდნენ, სესიამ საჩხერის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია **ა. ნოზაძე.**

ლანჩხუთი. ლანჩხუთის რაიონული საბჭოს სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი. რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **რ. ებრალიძე.**

მახარაძე. აქ გაიმართა ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონული საბჭოების გაერთიანებული სესია.

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი. იმასთან დაკავშირებით, რომ ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონები ერთ — მახარაძის რაიონად გაერთიანდნენ. სესიამ მახარაძის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია **ა. გობრონიძე.**

ზუგდიდი. აქ შედგა წალენჯიხის, ხობის და ზუგდიდის რაიონული საბჭოების გაერთიანებული სესია.

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია **ი. ქანთარია.**

ხულო. ჩატარდა ხულოსა და შუახევის რაიონული საბჭოების გაერთიანებული სესია.

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი. ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ა. ბოლქვაძე.**

თელავი. მოეწყო ახმეტისა და თელავის რაიონული საბჭოების გაერთიანებული სესია. სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი. ახმეტისა და თელავის ერთ რაიონად გაერთიანების შედეგად, სესიამ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია **ა. ბატიაშვილი.**

ყვარელი. აქ მოეწყო ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონული საბჭოების გაერთიანებული სესია. სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია **ა. რეხვიაშვილი.**

ახალციხე. ამ დღეებში ჩატარდა შრომელთა დეპუტატების ახალციხის რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ აირჩია რაისაბჭოს აღმასკომის ახალი შემადგენლობა. ახალციხის შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს **ლ. ასაკაძე.**

ნათელი პერსპექტივები

სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფს კურორტ—ქალაქ წყალტუბოში. ათიათასობით შრომელი ჩამოდის კურორტზე სამკურნალოდ და დასასვენებლად. ზარშან 80 ათასზე მეტმა საბჭოთა ადამიანმა დაისვენა წყალტუბოში და მათი დიდი უმრავლესობა განკურნებული დაუბრუნდა თავის სამუშაოს. მიუხედავად ზამთრისა, ახლაც სრული დატვირთვით მუშაობს კურორტის ყველა სანატორიუმი.

წყალტუბო ამიერიდან სამრეწველო ცენტრიც იქნება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით წყალტუბოს საქალაქო საბჭოს აღმინისტრაციულად დაექვემდებარა ცაგერის რაიონის ლაჯანურჩახეს მუშათა დასახლება და ლაჯანურჩახეს ცენტრალური მუშათა დასახლება.

წყალტუბოს სამრეწველო ზონაშია გუმბრინის წარმოება და სხვა საწარმოები.

მრეწველობისა და მშენებლობის დაჩქარებით განვითარებაზე, მომავალს შეასწრებენ პერსპექტივებზე მსჯელობდნენ კომუნისტები წყალტუბოს სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა კურორტის საკონცერტო დარბაზში.

მოხსენებით „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგები და წყალტუბოს სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე ზ. ჯობოლაძე.

როგორც მოხსენებაში, ისე მოკამათეთა გამოსვლებში მთავარი ყურადღება ჰქონდა დათმობილი იმ ნაკლოვანებათა კრიტიკას, რასაც ადგილი აქვს მრეწველობის ცალკეულ დარგებში.

მრეწველობაში საერთო პროდუქციის გამოშვების 1962 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, ცალკეულმა სამრეწველო საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს გეგმების შესრულება და ასორტიმენტის მიხედვით.

მთელი წლის მანძილზე ასორტიმენტის მიხედვით გეგმებს ვერ ასრულებდნენ ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის (დირექტორი გ. ჯიქია). საწარმოები, პურკომბინატი და ზოგიერთი სხვა სამრეწველო საწარმო.

საწარმოებში ნელა ინერგება ახალი ტექნიკა, სუსტია ბრძოლა საწარმოო პროცესების მექანიზაციისათვის.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პროდუქციის ახალ სახეობათა ათვისებას. მარტო წყალტუბოს ადგილობრივი მეურნეობის კომბინატს გასულ წელს დაგეგმილი სახალხო მოხმარების 11 სახის საქონლიდან სრულიად არ უწარმოებია სამი სახის პროდუქცია.

სერიოზული ნაკლოვანებებია ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში.

ლაჯანურჩახეს დირექტორმა შ. რუხაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს საქართველოს ენერგეტიკის ერთ-ერთი ბურჯი — ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური. — ელექტროენერგიის გამომუშავების გასული წლის გეგმა სადგურმა ვერ შეასრულა, — თქვა მან, — მაგრამ წელს ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ვადამდე გავახდოთ დავალება.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. **გ. ა. გეგეშიძემ.**

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში კონფერენციამ მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული ორგანიზაციის კონკრეტული ამოცანები.

დახურული (ფარული) კენჭისყრით კონფერენციამ აირჩია საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს სამრეწველო-საწარმოო ზონის კომიტეტი, აგრეთვე სარევიზიო კომისია.

* * *

გაიმართა საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს სამრეწველო-საწარმოო ზონის კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა კომიტეტის მდივნად აირჩია **ზ. ობოლაძე,** მოადგილეებად — **ი. მელაძე** და **ც. ჭანტურიძე.**

დ. გაბრიაძე,
გაზეთ „დროშის“ რედაქტორი.

ვანო ყვირალაშვილი.

• • •

რთველი დიდი ხანია დამთავრდა კახეთში. წლის მოსავლმა მარნებში დაიძვიდრა ბინა. ალაზნის ველზე გაშლილ ზვრებში კი მაინც არ წყდება შრომის ყივილი. გუროკანელი მევენახეები ჩვეულებისამებრ ყოველ დილით მიპყვებიან ზვრებისაკენ მიმავალ ბატკნებიანც. მერე ვენახებში გაიშლებიან, და შრომას მიჰყვებიან, მოუღლელი მარჯვენა გამალებით ატრიალებს ბარსა და თოხს..

ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ზვარში რომ ვენახი გამოირჩევა, ის მეოთხე ბრიგადის მესამე რგოლს ეკუთვნის. ვენახში რომ ვიპოვნეთ ტრიალებს, რგოლის ხელმძღვანელი ვანო ყვირალაშვილია. სანამ მზე ალაზანში პირს დაიბანდეს, იგი უკვე ზვარშია და თავს დასტრიალებს ვახებს. მერე რგოლის წევრები მოვლენ და მხარში ამოუდგებიან ვანოს...

— ჯერ რომ მოსავალი მოვიყვანეთ, ასეთი არ ახსოვს ჩვენს ზვარს, — ამბობს ვასილ კოკოლაშვილი.

ჩანახატი

— ამდენი ყურძენი არასოდეს მოგვიკრეფია. გვალეას რომ არ შეეშალა ხელი, მაშინ უნდა გენახათ, — ესიტყვება იოსებ ქუფარაშვილი და ვახს ფრთხილად აწევენს ორმოში.

— მოსავალი კარგი მოვიყვანეთ, მაგრამ არა ვარ მაინც კმაყოფილი, მეტი შეგვიძლია, — ამბობს ვანო ყვირალაშვილი და ბარის ტარის სიმსხო რქას გადასწვენად ამზადებს.

— სანრო ოდაშელიძის რგოლს ხომ ვაჯობეთ, მეტი რაღა გვინდა, — კმაყოფილებით ამბობს ვაჟკაცების გეერდით მომუშავე სამოცი წლის ანა პაპუაშვილი და გადაწვენილ ვახს ფხვიერ მიწას აყრის.

— დაილოცოს ამის ძირი, ბევრი შრომა უნდა, მაგრამ გულს გახარებაც იცის...

— ვაზო, შვილვით ნაზარდოო, ტყუილად კი არ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს...

ვანო ყვირალაშვილის რგოლი მზის ჩასვლისას ბრუნდება შინ. სანამ ჰიშკარს შეაღებდეს, ვანო ქუჩაში შეჩერდება, სიამაყით შეავლებს თვალს ორსართულიან, კაპიტალურ სახლს, ელექტროშუქით გაკაშკაშებულ მეზობლების ბინებსაც გადახედავს და მერე გულში სიამეჩამდგარი, ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი წელში გამართული შედის ჰიშკარში. სახლიდან გამონატყორცნი ელექტროშუქი გულში ხვდება. იქვე, ორკანზე ხელპირს იბანს და ჩქარობს სახლის კარი შეაღოს...

— აჰა მშვიდობა! — იტყვის და იქვე ცეხვეში დადგმულ აკვანს დახედავს.

— მშვიდობა ხუ მოგეშვილოს! — უპასუხებს ოჯახის რძალი იზა და პატარა მაიას სახეზე გადახდის, რომ ვანო პაპამ დაინახოს.

ვანო მოეფერება პატარას, ღოყაზე თითს შეახებს და მერე გაზეთში თავჩარგულ მამას მიუბრუნდება:

— რაო, შვილო, რა ამბებია ახალი?

...და სანამ დიასახლისი სპვაზმოდ სუფრას გაშლის, მამა-შვილი საუბრით გულს იკერებენ. ჯერ სკოლაში რა ამბებია, ჰკითხავს მასწავლებელ შვილს, ვანო. მერე გაზეთში რას წერენ, ახალი რა არის ჩვენს ცხოვრებაში, კუბაში როგორ არის საქმეო, და ვინ იცის რამდენი რამ აქვთ სალაპარაკო.

მერაბიც თავის მხრივ მამას ეკითხება კოლმეურნეობის საქმიანობაზე. ვანოც გულდინჯად უამბობს.

საუბარშიც სუფრას რომ მოუსხდებიან, ვანოს ოჯახში პირველად პატარა მაიას სადღეგრძელო შეესმება, მისი სახით ჩვენს მომავალს აღიდგრძელებენ, ბედნიერ მომავალ თაობას... შემდეგ ვანო შვილობის სადღეგრძელოს სვამს და პაპა აკვანში სახეგაბადრულ მაიას უცქერის. შვილობისა და პატარა მაიას სადღეგრძელო ერთმანეთისთვის ვერ დაუშორებია ვანოს. მერე მშრომელი კაცის მარჯვენის სადღეგრძელო მოპყვება და ვანო დაყოჩრებული ქუნთშაგირი ხელით ღვინით სავსე ჭიქას ასწევს...

ვანშის შემდეგ ვანო და მისი ჯალაბობა რადიოს ან ტელევიზორს მიუსხდებიან. თუ არა და ფეხბურთის შესახებ ეკამათება შვილს... სწყინს ვანოს, როცა თბილისის „დინამო“ მოგების შესაძლებლობას კარგავს.

შაბათობით კი, როცა სტუდენტი ქალიშვილები ნაზი და დალი ჩამოვლენ ქალაქიდან ვანო ერთიორად გახარებულია, ხან ეროს იკრავს გულში და ხან მეორეს. ქალიშვილებს „ეშმაკებს“ ეძახის, ჰკუას არიგებს. ძველ ქართველ ქალებს ქალობას უქებს, ქალიშვილებს სინდისსა და პატიოსნებაზე ესაუბრება. ჰკუიანად იყავით, ეტყვის ბოლოს...

ხანდახან ასეც ხდება: ვანო გულმოსული ბრუნდება სამუშაოდან შინ. არ უნდა შეიმჩნიოს ჯალაბობასთან, მაგრამ მართა ბაბოს რა გამოეპარება. ვანოსთან ერთად სამუშაოდან დაბრუნებულ რძალს ანეტას ეკითხება შვილი ამბავს.

— ისევ ვასილ დიღიაშვილმა და ქარუმა ხარატიშვილმა აწყენინეს, — ეუბნება ანეტა. მართა ბაბო იცნობს ამ ორ ვაჟბატონს. კვირა ისე არ გაივლის რომ ვანოს არ აწყენინონ. არ უყვარს ვანოს ვასილ დიღიაშვილი. ორგული კაცია. ვასილ საკოლმეურნეო ზვარში არ მუშაობს ხან წელს აიტკივებს და ხან თავს. გაიხედ-გამოიხედავს, ხალხი არ ხედავს და ისე მოიპარავს ხოლმე ხან ერთ ფოთოლ თამბაქოს, ხან მეორეს. ვანოს ეს ძალიან ეწყინა ერთხელ და ვასილს ფოთლები ზურგზე მოაყრევინა. მერე ხომ ვანოს ხელი ჩაიქნია ვასილზე, ხედავდა, რომ ვასილ ვერ გამოსწორდებოდა.

ქარხნის ხარატიშვილი სამუშაოდ კი გამოდის, მაგრამ გულით არ აკეთებს საქმეს. მოვალეობას იხდის მხოლოდ. დღე არ გავა, რომ შენიშვნა არ მიიღოს ცუდი მუშაობისათვის.

ამიტომ მიდის შინ ხანდახან გულმოსული ვანო. ჯერჯერობით ვერა და ვერ ამოიყვნა ისინი გვერდში, ვერ შეაყვარა საერთო საქმე.

ვანოს კი საერთო და საკუთარ საქმეზე ერთნაირად შესტკივა გული. ამას წინათ კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე, რომ იტყვიან, ცეცხლი დაიწთო. შემინდვრეობის აგრანომს ოოსებ ქუფარაშვილს იქ აღარ ეღგომებოდა. 70 ჰექტარზე სიშემოდგომოდ დათესილი ქერი რომ ნახევარი არ აღმოცენდა, ვინ იყო ამაში დამნაშავე? ეს საკითხი ვანომ კოლმეურნეობის გამგეობას მოახსენა და დამნაშავის დასჯა მოითხოვა. გამგეობამ საერთო საქმის საკეთილდღეოდ იმსჯელა, და ნაკლი გამოსწორდა.

როცა შრომით დაღლილი ვანო კარგ ხასიათზე ბრუნდება შინ, იმ ღამით მარილა მშვიდად იძინებს... აბა რა აქვს სადარდებელი. კარგი ოჯახი, სახლ-კარი, საჭირო ავეჯით გაწყობილი, მარანში ღვინით სავსე ქვევრები... შვილები, შვილიშვილები...

ბედნიერი კაცია ვანო. ყოველივე საკუთარი მარჯვენით მოუგნია მას. პატიოსანი შრომით შეძენილი, ზვრებსა და მინდვრებში ჩაქცეული ოფლით მოპოვებულია მისი ჯოხები.

ასე კი არ ცხოვრობდა წინათ. როცა დაქორწინდა, ამ ადგილზე პატარა ქოხი ჰქონდა ჩადგმული. ოცნებობდა ფართო, ნათელ ბინაზე. შრომობდა, კაპიკს კაპიკზე ადებდა. მეუღლეც გვერდში ამოუდგა, შვილებიც შეეძინათ, ერთად ეწვორენ ცხოვრების უღელს... ძნელი იყო შინაურს დაშვებაება ორი ადამიანისათვის. მერე კოლმეურნეობა რომ ჩამოყალიბდა სოფელში, ვანო ყვირალაშვილი პირველი შეეკედა სოკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღებს. მას სხვებმაც მიბაძეს. მიწები გაიერთიანეს. ვენახი გააშენეს, კოლექტიური შრომით ბედღებიც აიესეს და მარნებიც...

ამ ბოლო დროს ვანო მევენახეობის რგოლს ჩაუდგა სათავეში და ყურძნის უხვი მოსავლისათვის გააჩაღა ბრძოლა. სადაც ძნელი საქმე იყო, იქ მიდიოდა კომუნისტი ვანო ყვირალაშვილი...

პატიოსანი შრომით დაიმსახურა მან 1949 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მკერდი ლენინის ორდენთა და medalთა ვარსკვლავით დაიმშვენა, და ენერგია კიდევ უფრო შეემატა. იქიდან მოყოლებული ყველ წელიწადს გამარჯვების გამარჯვებაზე აღწევს მისი რგოლი. წელს ხუთი ჰექტარი მოსავლიანი ვენახის თვითეულ ჰექტარზე ას ოცდაათი ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს, ვანო ყვირალაშვილის ნაოფლარი ყველაზე მეტი ურევია შიგ. როცა ნახავთ, რომ მისი ოჯახის წევრებს ჯერ ხუთასამდე შრომადღე აქვთ გამომუშავებული კოლმეურნეობაში, ღარ გაგიკვირდებათ, როგორ აიწია ორსართულიანი სახლი, როგორ შეიძინა საუკეთესო ავეჯი, როგორ მოაწყო ასე ოჯახი...

ასე ფასდება ჩვენში შრომა...

ამიტომ არის, რომ მზე ვერ ასწრებს ვანო ყვირალაშვილს ალაზანში პირის დაბანას, ხოლო როცა გვიან ბრუნდება შინ, ხახლთან იმიტომ შედგება ხოლმე, რომ თვალი შეავლოს თავისი შრომის მონაგარს და დატკბეს. სახლიდან ფანჯრებში გამონატყორცნი სხივი ეზოში შემოსულ ვანოს არა მარტო სახეზე უცემცემებს, არამედ გულამდეც აღწევს. ბედნიერების სხივს უწოდებს ვანო ყვირალაშვილი ამ სხივს.

ო. გოჩელაშვილი.
გურჯაანის რაიონი.

წაიკითხეთ, ეს საინტერესოა

„მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები“. ამ სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა დაწერა ავტორთა კოლექტივმა ო. ვ. კუუსინენის ხელმძღვანელობით. წიგნი გათვალისწინებულია პოლიტიკური განათლების ქსელის მსმენელთათვის, პროპაგანდისტებისა და მასწავლებლებისათვის. მეორე გამოცემა, ინარჩუნებს რა პირველი გამოცემის შინაარსს, გამდიდრებულია თანამედროვე მარქსისტულ-ლენინური აზრის თვალსაჩინო ნაწარმოებების — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის იდეებითა და სკკპ XXII ყრილობის სხვა დოკუმენტების ძირითადი დებულებებით.

„რომორი უნდა ვიყოთ... ლიტერატურა და პიროვნების ზნეობრივი აღზრდა“. ავტორი ფ. კუზნეცოვი ახალგაზრდობისადმი მიძღვნილ ამ პუბლიცისტურ წიგნში ცდილობს უპასუხოს კითხვებზე, რომლებიც აინტერესებს თანამედროვე ახალგაზრდა თაობას. რა არის ცხოვრების აზრი, როგორ გავარკვიოთ ჩვენი ნამდვილი მოწოდება, როგორ გამოვნახოთ ჭეშმარიტი მიზანი ძალების გამოსაყენებლად, რით განსხვავდება ნამდვილი გმირობა მოჩვენებითი გმირობისაგან, გის და რა უნდა მიებაძოთ. ფიქრები ცხოვრებაზე, ჩვენი დროის ახალგაზრდა ადამიანზე წიგნში დაკავშირებულია უკანასკნელი წლების საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა ანალიზთან.

„ვინ დაეხმარა ჰიტლერს“. ბევრ ძალღონეს ხმარობენ კაპიტალისტური სამყაროს მოღვაწეები, რათა გაქარწყლონ ის უარყოფითი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მიუნხენის სამარცხვინო შეთხზვებმა, რაც ოც წელზე მეტი ხნის წინათ დაიდო. წიგნის „ვინ დაეხმარა ჰიტლერს“ ავტორი აკადემიკოსი ი. მაისკი იყო სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის 1939 წლის მოლაპარაკების მოწმე და მონაწილე. იგი ახლოს იცნობდა ომისწინა ევროპის ადამიანებსა და მოვლენებს. წიგნში აღდგენილია სსრ კავშირისა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობის ნამდვილი სურათი და მხილებულია ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა მონაჭორები.

ი. მაისკი წერს, რომ საბჭოთა კავშირმა ყოველი ღონე იხმარა იმისათვის, რომ თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს ხელმძღვანელობამ საქმეს ყურადღება მიაქციოს.

წარმოების მებრძოლი კომიტეტი

პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის წინაშე დააყენა კონკრეტული ამოცანები და გამოთქვა რწმენა, რომ გამხსნელებული რაიონის კომუნისტები მთელ თავიანთ ძალ

ცხოვრების კარნახით

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები გავაცნოთ თვითეულ ადამიანს

ულან-ბატორი, 9 იანვარი. (საკდესი). მეორე დღეა მუშაობას განაგრძობს რესპუბლიკური თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე, რომელიც მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია.

დილის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. თ. ილიჩოვმა, რომელიც გულმხურვალედ მიესალმა თათბირის მონაწილეებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და იდეოლოგიური ფრონტის ყველა საბჭოთა მუშაკის სახელით.

კამაში მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ლხამსურენის მოხსენების გამო „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე“ მონაწილეობა მიიღო ოცმა მეტმა კაცმა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი სახალხო-სამეურნეო ამოცანების შესრულებასთან.

ულან-ბატორი, 9 იანვარი. (საკდესი). უდიდესი ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა ჩვენი პარტიის საქმიანობაზე სკკპ ისტორიულმა XXII ყრილობამ და ყრილობის მიერ მიღებულმა კომუნიზმის აშენების პროგრამამ, განაცხადა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ლხამსურენმა, რომელმაც გუშინ იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე გააკეთა მოხსენება „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე“.

შეეხო რა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის იდეოლოგიური და სხვა ფორმის მუშაობის აღმავლობას უკანასკნელ წლებში, ლხამსურენმა აღნიშნა, რომ სკკპ პროგრამის დიად იდეებსა და შინაარსს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ იმისათვის, რომ გადაიბრას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის საარსებო პრაქტიკული ამოცანები, კერძოდ, გარდაიქმნას პარტიის იდეოლოგიური მუშაობა ახალ პირობებთან შეფარდებით.

მომხსენებელმა, როგორც მონაცემეს საააგენტო იუწყება, ხაზი გაუსვა, რომ იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლების საჭიროება ნაკარნახევია იმით, რომ ეს მუშაობა უმნიშვნელოვანესი საშუალებაა სოციალიზმის აშენებისა მონღოლეთში, იგი ნაკარნახევია აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საერთო ამოცანებით. ყველა საშუალება იდეოლოგიური მუშაობისა, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა მიზნად უნდა ისახავდეს გადამწყვეტ და ულმობელ ბრძოლას ბურუჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

ბრძოლა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის, აღნიშნა მომხსენებელმა, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობაა. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას, იხვე როგორც სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს, თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნდა და მიაჩნია—ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთობა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე, აწარმოოს შეურიგებელი ბრძოლა როგორც რევიზიონიზმის, ისე დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ.

თავიანთი ცილისმწამებლური გამოხდომებით საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და მისი ნაცადი ავანგარდის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ და გამოიშველი მოქმედებით სოციალისტური ქვეყნების იმ მეცადინეობის წინააღმდეგ, რომ განამტკიცონ მშვიდობა და შეაჩერონ საერთაშორისო დაძაბულობა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დიად საქმეს. საჭიროა, განაგრძო ბ. ლხამსურენმა, გავაძლიეროთ სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ფსევდორევოლუციური ფრაზით გაიყვანონ ანტიმარქსისტული შეხედულებანი და იდეები. იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ აღმავლობას, აღნიშნა მომხსენებელმა, მივალწევთ იმის შედეგად, თუ გავაქტიურებთ და გავაუმჯობესებთ მშრომელთა მასებზე იდეურ ზემოქმედების უველა საშუალებას.

ამ საფუძველზე უნდა აღიზარდოს ახალი ადამიანი — სოციალიზმისათვის აქტიური და შეგნებული მებრძოლი. მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები უნდა გავაცნოთ თითოეულ ადამიანს.

ბარაქიანი მოსავლისათვის

ჟი ათასზე მეტი ჰექტარით გადიდდება 1963 წელს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სარწყავი ყანების ფართობები ახალ საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობისა და არსებულ ნაგებობათა რეკონსტრუქციის შედეგად.

გასული წლის უკანასკნელ კვარტალში საირიგაციო სისტემის ქსელის გაფართოების სამუშაოებში 150 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო აქტიური მონაწილეობა. კორეელ მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად გამაგრეს ისეთი მსხვილი საირიგაციო სისტემები, როგორიც ფხენიანის, ჯანსის და ოგეიდონის სისტემებია. ამასთან ერთად ამ სამუშაოებმა ხელი შეუწყო მთელი რიგი ახალი საირიგაციო სისტემების აგების დაჩქარებას, კერძოდ მდინარე ამნოკანის აუზის სისტემისა, რომელიც 90 ათას ჰექტარ მიწას მოარწყავს.

ერთ საათში 1000 ტონა ქვანახშირი

პოლონური კომპლექტური მოწყობილობა ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკისათვის დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს მსოფლიო ბაზარზე. ასეთი მოწყობილობა იგზავნება ინდოეთში, ბრაზილიაში და ინდონეზიაში. ამჟამად პოლონეთის საკონსტრუქტორო ორგანიზაციები მუშაობენ უფრო მძლავრ მოწყობილობათა შექმნაზე, რომელთაც შეეძლებათ გადაამუშაონ ერთ საათში 800-1.000 ტონა ქვანახშირი.

ჩინეთის ახალი ამბები

პეკინი, 9 იანვარი. (საკდესი). 110 ათასი ცენტნერი მარცვალი, 4.500 ცენტნერი ბამბა, 20 ათასი ცენტნერი ზეთოვანი კულტურები, დიდძალი ტყავი, მატყლი და ხორცი მისცეს სახელმწიფოს 10 წლის განმავლობაში განსუს პროვინციის სახელმწიფო მარცვლეულისა და მეცხოველეობის მეურნეობებმა. მათ აგრეთვე მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს სახალხო კომუნებს — გაუგზავნეს 1.700 სულზე მეტი სანაშენო პირუტყვი, 1.250 ცენტნერი ჯიშიანი თესლი.

სახელმწიფო მეურნეობათა მინდვრებში ახლა მუშაობს ბევრი სხვადასხვაგვარი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა — ტრაქტორები, მარცვლეულის ასაღები კომბაინები, ავტომანქანები.

ხენანის პროვინციამ ვადამდე შეასრულა ტყის გაშენების დავალება 1962-1963 წლების ზამთრის პერიოდისათვის. ახალგაზრდა ხეები დარგულია 153 ათას მუზე მეტ უტყეო ფართობზე (მუ 1/15 ჰექტარს უდრის).

ტყის გაშენებაში მოსახლეობას მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სახელმწიფო. ამ მიზნით გამოყოფილია 1.860 ათას იუანზე მეტი, დიდძალი ნერგი გაიგზავნა იმ რაიონებში, რომლებსაც არ ჰყოფნით ტყის გასაშენებელი მასალები.

ახალი სახლები

რუმინეთში სახალხო რესპუბლიკის დამყარებიდან დღემდე აშენებულია ახალი ბინები 4 პროცენტით მეტი, ვიდრე ქალაქებში სულ — სარეზერვო დასახლებული აგურებისაგან, 35 პროცენტი — ბისაგან, მხოლოდ 24 პროცენტი — აგურისა და ბეტონისაგან. დღიდან სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებისა გაიშალა ფართო საბინაო მშენებლობა. დღემდე რუმინეთში მაღალხარისხოვანი აგურით და ბეტონით აშენებულია დაახლოებით 190 ათასი ბინა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. სურათზე: მდინარე ფუჯუნძიანი.

დელეგაცია პოლონეთიდან

ვ. გომულკა — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაციის მეთაური გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ყრილობაზე

ვარშავა, 9 იანვარი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა უხელმძღვანელებს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაციას, რომელიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით დაესწრება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობას. როგორც პოლონეთის პრესის საააგენტო იუწყება, დელეგაციის შემადგენლობაში არიან აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. კლიშკო, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლონეთის საკონსტრუქტორო ორგანიზაციები მუშაობენ უფრო მძლავრ მოწყობილობათა შექმნაზე, რომელთაც შეეძლებათ გადაამუშაონ ერთ საათში 800-1.000 ტონა ქვანახშირი.

უ თანის პასუხი

ნიუ-იორკი, 10 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ თანმა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა ა. წ. 7 იანვრის ერთობლივ წერილთან დაკავშირებით გამოუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვ. ვ. კუზნეცოვს შემდეგი შინაარსის პასუხი:

„მივიღე 7 იანვრის წერილი, რომელსაც ხელს აწერთ თქვენ და ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი, და რომელშიც შემატყობინეთ, რომ „თუმცა ჩვენი მთავრობებისათვის შესაძლებელი არ აღმოჩნდა ყველა პრობლემის გადაჭრა, რომლებიც ამ საკმესთან დაკავშირებით წარმოიშვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მიაჩნიათ, რომ, თუ მხედველობაში გვეჭირება ამ კრიზისის მოწესრიგების შესახებ შეთანხმების დონეს, რაც მიღწეულია მათ შორის, და პროგრესის დონეს ამ შეთანხმების განხორციელებაში. საჭირო არ არის, რომ ეს პუნქტი კვლავ იპყრობდეს უშიშროების საბჭოს ყურადღების ამჟამად“.

ეს წერილი გამოიცა უშიშროების საბჭოს დოკუმენტის სახით. მე ვგრძნობ, მივაპყრობ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ყურადღებას ამ წერილს, რათა მან შეატყობინოს ეს საბჭოს სხვა წევრებს.

ვიზიარებ თქვენი მთავრობების მიერ გამოთქმულ იმედს, რომ „ამ კრიზისთან დაკავშირებით ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის განხორციელებული მოქმედება მოაწესრიგებს მათ შორის არსებულ სხვა უთანხმოებასაც და საერთოდ შეამცირებს დაძაბულობას, რასაც შეიძლება წარმოშვას ომის შემდგომი საფრთხე“. ვგრძნობ აგრეთვე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა დაინტერესებული მთავრობა შეიკავებს თავს ყოველგვარი მოქმედებისაგან, რასაც შეიძლება როგორმე გაეუარესებინა მდგომარეობა კარიბის ზღვის რაიონში.

ვგრძნობ ვასარგებლობ ამ შესაძლებლობით, რათა მადლობა გადავუხადო თქვენ და თქვენს მთავრობას წერილში გამოთქმული შეფასებისათვის იმ დახმარების შესახებ, რომელიც. შესაძლოა, მე გავწიო.

გულწრფელად თქვენი
უ თანი,
გენერალური მდივანი.
1963 წლის 8 იანვარი“.

კმარა ატომთან თამაში

საგჭოთა ლიტერატორები ამერიკაში

ვაშინგტონი, 9 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა კავშირ-ამერიკის კულტურული გაცვლის შესახებ შეთანხმების შესაბამისად შეერთებულ შტატებში იმყოფებიან მწერალი ვ. კატაევი და დრამატურგი ვ. როზოვი. ისინი ერთი თვით მოგზაურობენ ამ ქვეყანაში, ეცნობიან ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურულ და მხატვრულ ცხოვრებას.

„ჩვენ იმისათვის ჩამოვედით შეერთებულ შტატებში, რომ შეგვექმნას წარმოდგენა, თუ როგორ ცხოვრობს ამერიკელი ხალხი და გიამბოთ, თუ როგორ ცხოვრობს საბჭოთა ხალხი. ჩვენ აქ ჩამოვედით ადამიანთა ერთიანობისა და ხალხთა მეგობრობის იდეით“, — განაცხადა ვ. კატაევმა პრეს-კონფერენციაზე.

ვ. როზოვმა უპასუხა შეკითხვებზე, რომლებიც შეეხებოდა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების უკანასკნელი წლების მოვლენებს.

საბჭოთა ლიტერატორები პიუსტონს გაემგზავრნენ. შემდეგ ისინი ეწვევიან ნიუ-იორკს, ბოსტონს, სან-ფრანცისკოს, ლოს-ანჯელოსს.

საუკეთესო გადაწყვეტილებაა მშვიდობიანი მოლაპარაკება

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. (საკდესი). კუბის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ქარლოს ლეჩუგამ გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ თანს წერილი, რომელსაც თან ერთვის პირები კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროს 1962 წლის 28 ოქტომბრის წერილისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი.

კუბის რევოლუციური მთავრობა, ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის მუდმივი წარმომადგენლის წერილში, სინანულს გამოთქვამს, რომ მოლაპარაკება, რომელიც წარმოებდა უშიშროების საბჭოში მიღებული შეთანხმების შესაბამისად, კეთილად არ დამთავრდა.

კუბის მთავრობამ, ნათქვამია კარლოს ლეჩუგას წერილში, უკვე განაცხადა და სარგებლობს ამ შესაძლებლობით, რათა ყოველმხრივ კიდევ ერთხელ გამოხატოს თავისი ეს თვალსაზრისი, რომ მას არ მიაჩნია ეფექტურად პრაქტიკული შეთანხმება, გარდა იმისა, რომელშიც შეტანილ იქნება ხუთი პუნქტი ან ღონისძიებანი, რომლებიც — კარიბის რაიონის მშვიდობის მინიმალურ გარანტიათა სახით — ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა თავის 1962 წლის 28 ოქტომბრის განცხადებაში.

საფრთხე ოკეანისათვის

შეიძლება თუ არა მოიწამლოს წყალი მსოფლიო ოკეანეში, რომელსაც ხატრუნტის მეშვიდე კონტინენტს უწოდებენ? მეოთხედი საუკუნის წინათ ასეთი საკითხი არ მდგარა ყაყობრიობის წინაშე. მაგრამ ახლა, როცა სწრაფად ვითარდება ატომური მრეწველობა, წარმიებს ატომური და თერმოატომური იარაღის გამოცდა, ეს პრობლემა აქტუალური ხდება.

ატომური წარმოების თხეველი და მაგარი ნარჩენები დაბალი, საშუალო და თვით მაღალი აქტივობისა განუწყვეტლივ მზარდი რაოდენობით ჟარება მდინარეებში, ზღვებში. ოკეანეებში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკანასკნელ თხუთმეტ წელიწადში წყნარი ოკეანის სანაპირო ზონის ფსკერზე ჩაუშვეს რადიოაქტიურ ნარჩენებიანი ათასობით ფოლადის დოლი და ბეტონის კონტეინერი. არანაკლებ რაოდენობით ჩაბარებს ამერიკელებმა ასეთ ნარჩენები ატლანტის ოკეანის სანაპიროსთანაც. მათ არ ჩაბორჩენიან ინგლისელებიც.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მაგალითს ბაძავს საფრანგეთიც, რომელმაც დაიწყო დაუშეშაებელ რადიოაქტიურ ნივთიერებათა ჩაშვება რონის ხმელთაშუა ზღვაში. უფრო მეტიც, საფრანგეთის მთავრობა აპირებდა 2 000 ტონა ასეთი ნივთიერებანი 6 500 კონტეინერით ჩაემარხა ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე ნაპირიდან 80 კილომეტრის დაშორებით. და მხოლოდ იტალიის, საფრანგეთის ფართო საზოგადოებრიობის მტკიცე პროტესტებმა აიძულებინეს მას ხელი ასეთ განზრახვაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მდინარე კოლუმბიაზე ჰანფორდის ატომური საწარმოა. რეაქტორების გაცივების შემდეგ აქ წყალი ბინძურდება სამოქმე მეტი სხვადასხვა რადიოაქტიური იზოტოპით. ერთი-სამი საათის განმავლობაში ეს წყალი გაივლის სალექ აუზებს, რის შემდეგ ჩადის მდინარეში, იქიდან კი ხვდება ოკეანეში. და აი ჰანფორდში აურზაური ატყდა. მრავალი ადამიანის ორგანიზმში დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი რადიოაქტიური თუთია-65. ქალაქის მცხოვრებთა მასობრივი დაავადების მიზეზები ადგილობრივი ხასიათისა როდი აღმოჩნდა. ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერება მოჰყვა ზღვაში დაჭერილ ხამანწკას.

სამმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საბჭოთა კავშირმა — ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის ხელშეკრულება დადო. ამ ხელშეკრულებამ ბევრი რამ გააკეთა ატმოსფეროში რადიოაქტიური ნარჩენების შესამცირებლად. მაგრამ ეს ხელშეკრულება ვერ აღმოფხვრის ატომური ნარჩენების ზღვებში ჩაშვების საშიშროებას. ამ ნარჩენებს ხომ ისევ ის ატომური ბომბები ქმნიან, რომელთა აფეთქებაც ხელშეკრულებით ნებადართულია მიწისქვეშა ატომური ფეთქებების სახით.

ატომური ნარჩენების ზღვებში ჩაშვების საშიშროება ნათლად დაადასტურა ინგლისის მეცნიერთა ჯგუფმა, რომელიც ინგლისის სანაპიროსთან ატომური ნარჩენების ჩაშვების ადგილებში ჩავიდა. ამ ადგილებში ჩაშვებული ნარჩენების ნახევარზე მეტი ჟანგდებოდა და ნიადაგში ჩადიოდა. ამ ადგილებში ნიადაგის ნიმუშების აღებისას მეცნიერებმა ნარჩენების ნაჭრები აღმოაჩინეს. ამ ნაჭრებიდან ზოგიერთი ისეთი ძლიერი რადიაციის მატარებელი აღმოჩნდა, რომ ნიადაგის ნიმუშების აღებისას მეცნიერებს მოუხდათ ხელთათმანების ხმარება.

ინგლისელი მეცნიერების ცნობით, ატომური ნარჩენების ზღვებში ჩაშვების ადგილებში ნიადაგის ნიმუშების აღებისას ნაპოვნი ნარჩენების ნაწილი ისეთი ძლიერი რადიაციის მატარებელია, რომ ადამიანის ხელით აღებისას ის ადამიანს სიკვდილს მოუტანდა. ამ ნარჩენების ნაწილი ისეთი ძლიერი რადიაციის მატარებელია, რომ ადამიანის ხელით აღებისას ის ადამიანს სიკვდილს მოუტანდა. ამ ნარჩენების ნაწილი ისეთი ძლიერი რადიაციის მატარებელია, რომ ადამიანის ხელით აღებისას ის ადამიანს სიკვდილს მოუტანდა.

ატომური ნარჩენების ზღვებში ჩაშვების საშიშროებაზე მიუთითებენ ამერიკელი მეცნიერებიც. ამერიკის ატომური ენერგიის საერთაშორისო საააგენტომ მოიწვია. რა ზომებს არ მიმართავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ექსპერტები, რომ თავიანთი მიზნებისათვის მიეღწიათ! ისინი ირწმუნებოდნენ, რადიოაქტიური ნარჩენები საიმედოდ არის შენახული, რამდენადაც ისინი კონტეინერებში არის მოთავსებული, თუმცა არის შემთხვევები კონტეინერების დაწყლისა რადიოაქტიური იზოტოპების მიერ. ისინი ირწმუნებოდნენ, ატომური წარმოების ნარჩენები უფიდეს სიღრმეზეა ჩამარხული, და ივიწყებდნენ იმას, რომ იქ ხდება წყლების საკმაოდ ინტენსიური არევა ერთმანეთში. მაშასადამე, რადიოაქტიური ნივთიერებანი იქიდან ზედა ფენებში ავა. და, ბოლოს, ისინი ისწრაფოდნენ დაეკანონებინათ ზღვებისა და ოკეანეების მოწამვლა იმით, რომ რადიოაქტიური ნარჩენების ჩაყრა საჭიროო წყლებში სახელმწიფოთა „საშინაო საქმეაო“. მაგრამ ბევრი ქვეყნის მეცნიერებმა უცილობლად დაამტკიცეს, რომ რადიოაქტიურობის მიგრაცია შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური და ბიოლოგიური გზებით და შეეხოს არა მარტო მეზობელ სახელმწიფოებს.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს თათბირზე უარყოფითი პოზიცია ეჭირათ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ექსპერტთა ოგანიზაციების მიმართ. კამდებარე ვიქტორ სპიცინის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლევ ზენკევიჩისა და სხვა საბჭოთა მეცნიერების მოხსენებებში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ დაუშვებელია რადიოაქტიური ნარჩენების ჩაყრა ღია ზღვებსა და ოკეანეებში.

ასეთსავე პოზიციაზე იდგნენ ნორვეგიის, ინდოეთის, ნიდერლანდის, იტალიის, ფინეთის, პოლონეთის, ბულგარეთის მეცნიერები. მაგრამ ის უნდა ვთქვათ ატომური წარმოების ნარჩენების, რომელთა რაოდენობა წლითიწლობით იზრდება? იგი წყალში კი არ უნდა ჩაიყაროს, არამედ ჩამარხულ იქნას მიწაში. — აი პრობლემის ერთადერთი სწორი გადაწყვეტა.

ექსპერტთა თათბირებზე მოჰყავდათ რადიოაქტიური ნარჩენების უსაშიშროდ შენახვის რაციონალურ საშუალებათა მრავალი მაგალითი. მაგალითად, შეიძლება ნარჩენები ჩაცემენტდეს ფოლადის კასრებში და ჩაიმარხოს ღრმა შახტებში. შექმნილია ისეთი დანადგარიც, რომელიც რადიოაქტიურ თხევად ხსნარებს ჩატუმბავს 30 მეტრამდე სიღრმეზე მდებარე მიწის წყლიან შრეში. სავსებით ახალია მეთოდი თხევად რადიოაქტიურ ნივთიერებათა ჩამარხვისა ქვაბარით დანალექებში.

და უნდა აღინიშნოს, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო საააგენტოს (მაგატე) და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის (იუნესკო) ხელმძღვანელებმა, შეჯამეს რა დისკუსიის შედეგები, აღიარეს, რომ არ შეიძლება ატომური წარმოების ნარჩენების დაუბრკოლებლად ჩამარხვა ზღვებსა და ოკეანეებში.

დისკუსია იწვევს იმის საჭიროებას, რომ გადაისინჯოს მანამდე შექმნილი აზრი რადიოაქტიური ნარჩენების ზღვებსა და ოკეანეებში ჩამარხვის შესაძლებლობის შესახებ.

წერილების გაცვლა

დელი, 10 იანვარი. (საკდესი). ინდოეთის გაზეთები დღეს აქვეყნებენ წერილთა ტექსტებს, რომლებიც გაუცვლიათ ერთმანეთს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო უთანხმოებათა საკითხზე.

შეხვედრა თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 10 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი გუშინ შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კენედის და შემდეგ ვ. ვ. კუზნეცოვმა გააკეთა შემდეგი განცხადება პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენელთათვის: „ჩვენ შევხვდით პრეზიდენტ კენედის მისი მიწვევით ნიუ-იორკის მოლაპარაკების დამთავრებასთან დაკავშირებით.

შეხვედრის დროს შევეხეთ საკითხებს, რომლებიც ურთიერთსაინტერესოა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის“.

გადაწყვეტილება შეცვლილია

ლონდონი. 10 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გააუქმა თავისი ბრძანება კატანგის „პრეზიდენტის“ ჩომბეს შინა პატიმრობის შესახებ.

წინათ იუწყებოდნენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონგოში მყოფ ჯარებს მიეცათ ინსტრუქცია შინა პატიმრობაში ყოლოდათ კატანგელ სეპარატისტთა ლიდერი ჩომბე იმ მიზნით, რომ „მას კვლავ არ ჩაედინა უსიამოვნებები ატაბეს“.

ღამით ჩომბეს სასახლესთან, როგორც საინფორმაციო საააგენტოები იუწყებიან, გუშაგებად დაყენებული იყვნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ჯარისკაცები, მაგრამ დღეს დილით ისინი მოხსნეს.

ჩომბე ცდილობს დააშინოს...

ლონდონი, 10 იანვარი. (საკდესი). „ჩვენ გადავწყვიტეთ განვახორციელოთ „გადაბუგული მიწის“ პოლიტიკა, და განზრახული გვაქვს განვახორციელოთ იგი, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეეცდება დაიწყოს შეტევა კოლეგებზე“, — განაცხადა კატანგის „პრეზიდენტმა“ ჩომბემ პრეს-კონფერენციაზე ელიზაბეტვილში, სადაც იგი ჩავიდა ინგლისელი და ბელგიელი კონსულების ესკორტით.

ჩომბემ დაადასტურა ხმები, რომლებსაც „უნიონ მინიერა“ ავრცელებს იმის შესახებ, რომ კატანგის ჟანდარმერიამ დანაღა კომპანიის ყველა ძირითადი ნაგებობა კოლეგებში, რათა ააფეთქოს ისინი ჩომბეს ბრძანებით.

საკდესის კომენტატორი იური უსტიმენკო წერს:

ჩომბე ახლა ისეთ მდგომარეობაშია, როცა არსებობად ისღა დარჩენია, რომ დააშინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა მოუსპეს სეპარატისტებს საშუალება კონტროლი გაეწიოთ კატანგის მეტ ნაწილს, ჩომბე დაუღალავად იმეორებს, რომ დაანგრევს კომპანია „უნიონ მინიერის“ შახტებსა და ქარხნებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე პოლიტიკური ზეგავლენიდან საერთაშორისო მონოპოლიათა წარმომადგენლები გადავიდან შანტაჟზე — ან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეურიგდება ჩომბეს და ცნობს მის უფლებას დარჩეს კატანგის სათავეში და რწმენითა და სიმარტოლით ემსახუროს მონოპოლიათა ინტერესებს — ან ყველაფერი ოხრად იქცევა.

ამიტომ ასე ბევრს და ასე ხშირად ლაპარაკობენ „გადაბუგული მიწის“ შესახებ, ასე მხატვრულად, გემოვნებითა და საქმის ცოდნით ხატავენ ნგრევაობა საშინელებებს — მხოლოდ მიაღწიონ იმას, რომ შეშინონ ჩომბეს. როდის და კიდევ სად მონახავენ ასე ერთგულ ლაქიასა და მსახურს?

ტელეგრაფი გვატყობინებს



□ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა ასუანში მიიღო საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრი პ. ს. ნეპოროჟნი. დელეგაცია იქ ჩავიდა იმასთან დაკავშირებით, რომ შესრულდა ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის სამუშაოთა დაწყების მესამე წლისთავი.

□ გუანჯოუდან (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) პონკონგს გაემგზავრნენ ცეილონის პრემიერ-მინისტრი ს. ბანდარანაიკე და მისი თანმხლები პირნი.

□ შეთანხმებულ იქნეს ოთხი კვირის ფასიანი შვებულება მშრომელთათვის, აღდგეს 40 საათის სამუშაო კვირა ხელფასის შეუმცირებლად, დაწესდეს საპენსიო ასაკი: 60 წელი — მამაკაცებისათვის და 55 წელი — ქალებისათვის. ასეთი წინადადებანი შეიტანა ეროვნული კრების განსაბილველად საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფმა.

□ პრობრესული ყოველკვირეული „პიპლს უორლდ“, რომელიც სანფრანცისკოში გამოდის, აღნიშნავს თავის 25-ე წლისთავს. ეს ყოველკვირეული წამყვან როლს ასრულებს შეერთებულ შტატებში მშვიდობისათვის, პროგრესისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

□ იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საააგენტო იუწყება, რომ 10 იანვარს კანავერალის. კონცხზე მარცხით დამთავრდა რაკეტა „ტიტან-11“ გაშვების ცდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებს დაგეგმილი ჰქონდათ გაეშვათ ეს ყველაზე მძლავრი ამერიკული რაკეტა დაახლოებით 10.000 კილომეტრ მანძილზე. (საკდესი).

წყალდიდობა მაროკოში

რაბატი, 9 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ნასიონ აფრიკენი“ იტყობინება, რომ მაროკოს ჩრდილოეთ რაიონებში კატასტროფული წყალდიდობაა და 35 ათასი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა. ლაირგა კავშირი ზოგიერთ დასახლებულ პუნქტს შორის. აღნიშნავენ, რომ 40 წელია აქ ასეთი ძლიერი წყალდიდობა არ ყოფილა.

„ვიბრძოლებ რესპუბლიკისათვის“

გ. მონერვილის განცხადება

პარიზი, 9 იანვარი. (საკდესი). „მე ავირჩიე ბრძოლა რესპუბლიკისათვის და განვაგრძობ მას რამდენადაც შემიძლია“, — განაცხადა საფრანგეთის სენატის თავმჯდომარემ გასტონ მონერვილმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ლოს დეპარტამენტის გენერალურ საბჭოში.

მონერვილმა მადლობა გადაუხადა ამ დეპარტამენტის 18 მემარცხენე პოლიტიკური პარტიისა და დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც მტკიცე პროტესტი გამოთქვეს ბოიკოტის წინააღმდეგ, რასაც უცხადებენ მარის ყურადღებას ამ წერილს, რათა მან შეატყობინოს ეს საბჭოს სხვა წევრებს.

ვიზიარებ თქვენი მთავრობების მიერ გამოთქმულ იმედს, რომ „ამ კრიზისთან დაკავშირებით ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის განხორციელებული მოქმედება მოაწესრიგებს მათ შორის არსებულ სხვა უთანხმოებასაც და საერთოდ შეამცირებს დაძაბულობას, რასაც შეიძლება წარმოშვას ომის შემდგომი საფრთხე“. ვგრძნობ აგრეთვე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა დაინტერესებული მთავრობა შეიკავებს თავს ყოველგვარი მოქმედებისაგან, რასაც შეიძლება როგორმე გაეუარესებინა მდგომარეობა კარიბის ზღვის რაიონში.

ვგრძნობ ვასარგებლობ ამ შესაძლებლობით, რათა მადლობა გადავუხადო თქვენ და თქვენს მთავრობას წერილში გამოთქმული შეფასებისათვის იმ დახმარების შესახებ, რომელიც. შესაძლოა, მე გავწიო.

გულწრფელად თქვენი
უ თანი,
გენერალური მდივანი.
1963 წლის 8 იანვარი“.

ამერიკის შეერთებული შტატები. ნიუ-იორკში ზანგთა უბან ჰარლემში გაიმართა კრება ამერიკელი ზანგი ჟურნალ

საუკუნეები მეჯყვალებენ

გაზეთ „კომუნისტის“ 6 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის ო. გიგინეიშვილის წერილი „ძველი კვიპროსისაკენ მიდის“. წერილმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებრიობაში.

უცხოეთში არსებული ქართული კულტურის კერების სათანადოდ, საბჭოთა ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით შესწავლა დიდად დაგვეხმარება ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი წარსულის სრული სურათის შეძენაში. ეს მეცნიერთა საერთო აზრი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ აკადემიკოს **შალვა ამირანაშვილის** წერილს.

□ □

ოთარ გიგინეიშვილის წერილი ეხება ქართული კულტურის ისტორიის ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, სახელდობრ საქართველოსა და კუნძულ კვიპროსს შორის არსებული კულტურული ურთიერთობის ისტორიას.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში საქართველოს მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა როგორც ბიზანტიის დიდ ცენტრებთან, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყნებთან. ქართული კულტურის ცენტრები ბიზანტიის დედაქალაქში, ათონის მთაზე, პეტრწონში, შავ მთაზე ანტიოქიის მახლობლად, იერუსალიმში, სინას მთაზე და კუნძულ კვიპროსზე წარმოადგენდნენ სწავლა-განათლების, მწერლობის, მეცნიერული და ფილოსოფიური აზროვნების დიდ კერებს. მათი მეშვეობით საქართველო გაეცნო იმ დროის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ფილოსოფიური აზროვნების მოწინავე მიმართულებებს, ქართულ ენაზე გადმოითარგმნა მსოფლიო ლიტერატურის თვალსაჩინო ძეგლები. ამავე დროს ბერძნულ ენაზე ქართულიდან გადაითარგმნა ისეთი თხზულებანი, რომლებიც სწრაფად გავრცელდა სხვა ერების მწერლობაში („სიბრძნე ბალავარისა“).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამონასტრო ცენტრები უცხო ქვეყნებში წარმოადგენდნენ ქართული ხელოვნების დიდ კერებს, განსაკუთრებით მხატვრობის, ოქრომჭედლობის და ე. წ. მცირე ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ისტორიული დოკუმენტების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ აღნიშნული კერები ქართული კულტურისა უცხოეთში დიდ პოლიტიკურ როლს თამაშობდნენ საქართველოს საგარეო საქმეებში. საქართველოს ხელისუფლება მოხერხებულად იყენებდა ქართულ სამონასტრო ცენტრებს მეტად მნიშვნელოვანი საგარეო საკითხების გადასაწყვეტად.

შედარებით უფრო ნაკლები ცნობები მოიპოვება კუნძულ კვიპროსზე არსებულ ქართველთა სამონასტრო ცენტრის ღალიას შესახებ. ამიტომ ო. გიგინეიშვილის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს ამ საკითხის ირგვლივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

რა ვიცოდით დღემდე კვიპროსის შესახებ? პირველად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იხსენიებს ქართველთა მონასტერს კუნძულ კვიპროსზე, ხოლო თამარ მეფის ისტორიკოსი კი მონასტრის სახელწოდებას აღნიშნავს: „და კუალად კვიპრეს ღალია შეაშა და უყიდნა შესავალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოველთა წესითა პატიოსნისა მონასტრისათა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 91. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა). მე-19 საუკუნის დასაწყისში გიორგი ავალიშვილმა იერუსალიმიდან ჩამოიტანა X ს. ხელნაწერი დავითნის თარგმანი, რომელიც გადაწერილია კუნძულ კვიპროსზე ღალიას მონასტრის მახლობლად: „ხოლო დაიწერა კვიპრეს ქართველთა მონასტერსა ჟალიას არა ხოლო შინა, არამედ ორ მილითონ შორს მონასტრისაგან“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1, გვ. 128).

ამ ცნობიდან ჩანს, რომ მე-10 საუკუნეში კუნძულ კვიპროსზე იყო რამდენიმე სამონასტრო ცენტრი: სახელდობრ ღალიას ანუ ღალიას მახლობლად, დაახლოებით სამი კილომეტრის დაშორებით ყოფილა ცალკე სავანე; თამარ მეფეს განუახლებია ძველად არსებული მონასტერი ღალია და აუშენებია ახალი.

1571 წელს კვიპროსი თურქებმა დაიპყრეს. ქართველთა კოლონიისა და მონასტრების ბედი უკვე გარკვეული იყო... ო. გიგინეიშვილმა შეძლო დაედგინა ღალია მონასტრის ადგილმდებარეობა პროფესორ უან რიშარის მიერ გამოქვეყნებული საბუთების მიხედვით. სახელდობრ ზღვის ნაპირიდან დაახლოებით ორი ინგლისური მილის მანძილზე მდებარეობს სოფელი იაილა, რომლის სახელწოდება წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან გიალოსიდან, რაც ზღვის ნაპირს აღნიშნავს, რაც, მისივე მართებული დაკვირვებით, ქართულად გამოითქვა ღალიად ან ყალიად.

1960 წ. თებერვალს თბილისს ესტუმრა კუნძულ კვიპროსის დელეგაცია, რომლის მეთაურს ქალაქ ნიკოზიის მერს ბ-ნ თემისტოკლე დერვისს მივმართე თხოვნით ეცნობებინა ჩვენთვის, დაცულია თუ არა დღემდე ქართველთა ძველი სავანე ღალია, მოიპოვება თუ არა კვიპროსის მუზეუმში და არქივებში ქართული ხელნაწერები, საბუთები და სხვა მასალები ქართველების შესახებ. მან მომასუხა, რომ ამჟამად კვიპროსის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ძველი ქართული ხელნაწერები და საბუთები არ მოიპოვება.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ კვიპროსი შუა საუკუნეების მანძილზე დაკავშირებული იყო ბიზანტიასთან და აღმოსავლეთის იმ ქვეყნებთან, სადაც ქრისტიანული სარწმუნოება ადრინდელი ხანიდან იყო გავრცელებული: კვიპროსის საკულტო არქიტექტურისა და მოზაიკური მხატვრობის ძეგლები უკვე VI საუკუნიდან მოყოლებული კარგად არის ცნობილი სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ ძეგლებს იკვლევდნენ ო. სმირნოვი, ნ. კონდაკოვი, თ. შმიტი, გ. მილე, შ. დილი და სხვ.

ქართველების კოლონიისა და სამონასტრო ცენტრების არსებობა კუნძულ კვიპროსზე სავსებით გასაგებია. სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია აღნიშნულია, რომ ქართველთა ძირითადი კოლონია იყო თვით ქალაქ ნიკოზიაში, ალამანში კი რამდენიმე მონასტერი იყო (ჰაკეტ ჯ. „კვიპროსის მართლმადიდებელთა ეკლესიის ისტორია“, ლონდონი, 1901, გვ. 528. ბიუსტრუნ შ. „კუნძული კვიპროსის ქრონიკა“, პარიზი, 1884, გვ. 401, მენარდუ ს. „კვიპროსის ტოპონიმია“, ათენი, 1905, გვ. 377. კირიაზიოს ნ. ბ. „კვიპროსის მონასტრები“, კვიპროსი, 1950, გვ. 161).

დიდი ხანია დადგენილია, რომ ჭრიზოფუს (ჰრიზოფუს) ყურის სანაპიროდან დაახლოებით ერთი ინგლისური მილის დაშორებით მდებარეობს ქართველთა ძველი მონასტრის ღალიას ნანგრევები, ამჟამად დაცულია მხოლოდ ერთი სამლოცველო...

ო. გიგინეიშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილი კიდევ ერთხელ აუენებს ჩვენი მეცნიერების წინაშე გარკვეულ ამოცანას. ის, რაც ჩვენ ვიცით უცხო ქვეყნებში არსებული ქართული კულტურის კერების შესახებ, დღეს უკვე არ აკმაყოფილებს თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილებას. აუცილებლად საჭიროა გაიგზავნოს სპეციალური ექსპედიციები სათანადო სპეციალისტების შემადგენლობით, რათა ჩვენი ერის სახელოვანი წარსული იყოს შესწავლილი როგორც ამას საბჭოთა ისტორიული მეცნიერება მოითხოვს.

შალვა ამირანაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.



სურათზე: სინთეზური სახლი.

სინთეზური სახლი

სიახლე მშენებლობაში

ამ უჩვეულო ნაგებობის მისამართია — მოსკოვი, ენთუზიასტთა გზატკეცილის რაიონი, ზუსტად—შეპეღიუგინის ქუჩა, 15.

ამ ექსპერიმენტული სახლის მხოლოდ ნაწილია დამთავრებული და წარმოადგენს ფრაგმენტს 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლისა, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ აღიმართება ამ რაიონში.

უკვე შორიდან იქცევს ყურადღებას სახლის ნათელი ფერები, უჩვეულო „ტონალობა“, წითელი ფრიზი და ოქროსფერი ფასადი, ფოლადის შეფერილობის ტორსული კედლები და გამჭვირვალე ყვითელი სარდიღებელი შესასვლელთან. სახლი აგებულია სტრუქტურის, თვისებისა და ფერის მიხედვით მრავალფეროვანი პლასტიკური მასებისაგან. ეს არის „ტანსაცმელი“ სახლის კარკასისათვის, რომელიც დამონტაჟებულია სტანდარტული რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან. ეს „ტანსაცმელი“ გამოყენებული აგრეთვე ინტერიერთა მოსაპირკეთებლად.

— პლასტიკური მასები, ალუმინთან, მინასთან, მსუბუქ ბეტონთან და სხვა პროგრესულ მასალებთან ერთად, ფაქტიურად მასობრივი მშენებლობის ხვალინდელი დღეა, — ამბობს „მოსპროექტის“ სამმართველოს მთავარი კონსტრუქტორი იური დიხოვიჩნი, — პლასტიკური მასების გამოყენება უზრუნველყოფს შენობის წონისა და ღირებულების შემცირებას, აგრეთვე მასალების ხარჯვას. ჩვენი სახლები, ინტერიერები უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახდება.

იმის მიხედვით, როგორ აგებება „დიდი ქიმიის“ ქარხნები (მათი რიცხვი კი უკვე საკმაოდ ბევრია), პლასტიკატები სულ უფრო ფართო ნაკადად წავა მშენებლობებზე.

სახლში არის ორი მცირეტიპაჟიანი ბინა— ორ და სამოთახიანი, რომლებიც დაგეგმარებით არაფრით განსხვავდებიან ჩვეულებრივისაგან, მაგრამ პრ ჰგვანან მათ მოპირკეთებით.

გარეთა კედლები დამზადებულია 10 სანტიმეტრი სისქის პანელებისაგან. შენობის შიგნით მოქცეული ფენა წარმოდგენს ხის ნახერხის სინთეზურ ფისნარევ ფილებს, რომელთა ზედაპირი ძვირფასი ჯიშის ხის იმიტაციაა და შეღებვას არ საჭიროებს. დაახლოებით ასეთივე კონსტრუქციისაა სახურავის პანელებიც. პანელების წიბოები სპეციალური რეზინის ბეჭდებით არის დალუქული.

ამჟამად მიმდინარეობს სახლის ინჟინერული მოწყობილობის მონტაჟი. ამ ექსპერიმენტული სახლის ბინებში ჩაეწყობა ახალი ტიპის ავეჯი, რომელიც ასევე პლასტიკური მასებისაგან იქნება დამზადებული.

ამასთან ერთად ხდება სხვა დამხმარე სათავსებში ერთ ნახავთ ვერც რადიატორებს და ვერც გათბობის მილგაყვანილობას. სახლის გათბობა ხდება ჰაერით: თბილი ჰაერი ოთახში შემოდის თვალსაჩინო უხილავი ჰაერგაყვანილობით, რომელიც აგრეთვე სინთეზური მასალებისაგან არის დამზადებული.

შავი ფერის პლასტიკური მასისაგან არის დამზადებული აბაზანა, პირსაბანი. ყველაფერი ეს ძალზე მსუბუქია. აბაზანა, მაგალითად, თავისუფლად შეგიძლიათ აიღოთ ხელში — იგი 13-14 კილოგრამს იწონის.

საერთოდ ეს სახლი ძალზე მსუბუქია. დაახლოებით სამჯერ ნაკლებია ჩვეულებრივ პანელის სახლზე და ხუთ-ექვსჯერ — აგურის სახლზე.

ახლო მომავალში მოსკოვში — ვიატკის ქუჩაზე მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი სახლი, სადაც ფართოდ იქნება გამოყენებული სინთეზური მასალები. ეს იქნება უკვე 5-სართულიანი სახლი. მისი პროექტი სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის სამეცნიერო ინსტიტუტებში დაამუშავეს.

საagენტო „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲑᲘ“.

ბიბლიოთეკა

საგამოფენო დარგაზეგში

საინტერესო ექსპოზიცია

თბილისელებს ინტერესს იწვევს საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმში მოწყობილი მუზეუმის თანამშრომელთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც პირველად მოეწყო ჩვენს რესპუბლიკაში. გამოფენის მიზანია ჩვენს საზოგადოებრიობას გააცნოს ის მუშაობა, რომელსაც ეწევიან მუზეუმის ხელოვნებათმცოდნეები, მხატვრები ჩვენი ერის მხატვრული შემოქმედების გამოვლინებისა და შესწავლისათვის.

ათვალიერებთ გამოფენის დარბაზებს, და თქვენს თვალწინ იშლება ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო ნიმუშები — ულამაზესი ორნამენტები და ჩუქურთმები, დიდი გემოვნებით შესრულებული ნაქარგები, მინიატიურები, რესტავრირებული ფერწერული ტილოები, შესრულებული მხატვართა, ხელოვნებათმცოდნეთა მიერ.

ყურადღებას იქცევს კედლის მხატვრობის ასლების საუკეთესო ოსტატის, ხელოვნებათმცოდნე ტატიანა შევიაკოვას ნამუშევრები. მას აქვს წარმოდგენილი ახტალის, ბეთანიის, ოზაანის, ყინწვისის კედლის მხატვრობის ორნამენტები (XIII ს.). მინიატიურული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ბატალური სცენა, მინიატურა XIII ს. დავითნიდან. აქვეა მისი ჩანახატები „ზემო სვანეთი“, „თბილისის ციხე“, „მამადავითის მთის ძირი“ და სხვ.

საინტერესო ნამუშევრები აქვს მუზეუმის უძველეს მუშაკს მხატვარ სოფიო მირზაშვილს. საკუთარ ჩანახატებთან ერთად მას აქვს სხვადასხვა მინიატიურები — შ. რუსთაველის პორტრეტი, მინიატიურა „ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკუნის ხელნაწერიდან. ბრმის განკურნება — მინიატიურა ჯრუჭის ოთხთავიდან, სახიობა — XVII ს. ქართული ფერწერული ნიმუში. სურათი, რომელიც თეატრალურ სანახაობას ასახავს, მხატვრის მიერ არის რესტავრირებული.

მხატვარ ირინე თუმანიშვილის ნამუშევრებიდან გამოირჩევა XVIII, XIX საუკუნეების ქართული მხატვრული ნაქარგობების ნიმუშები — ქალის ჩაცმები, ხურჯინები, ქისა მძივებით, შუბლსაკრავები და სხვ.

აღსანიშნავია უძველესი ხელოვნებათმცოდნის ალექსი კეკელიძის მიერ შესრულებული ქართული არქიტექტურული ძეგლების ჩანახატები, თბილისური სურათები.

მნახველთა მოწონებას იმსახურებს მატილდა მღებრიშვილის, გიორგი ნათიძის, ვლადიმერ წიოლოანის, თეიმურაზ თოდუას, გურამ აბრამიშვილის შემოქმედება, აგრეთვე იგორ გილგენდორფის მხატვრული ფოტოსურათები.

გამოფენაზე საკუთარი ფერწერული ნამუშევრები აქვთ წარმოდგენილი ოთარ ფირალიშვილს, სოფიო ქავთარაძე-ჟოფრიოს, ნუნუ ნახუცრიშვილს, ალექსანდრე ნაზარიშვილს და სხვ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მეშვიდე ტომი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მე-7 ტომი.

განმარტებითი ლექსიკონის ამ ტომში შესულია 13.644 სიტყვა ფ, ჭ, ღ, უ, შ ასოებზე და 2.085 იდიომატური გამოთქმა. ტომის რედაქტორები არიან პროფესორი ჭ. ლომთათიძე, დოცენტი ს. მენთეშაშვილი და უფროსი მეცნიერი თამარ შრომელიძე პ. გაჩეჩილაძე. განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფ. არნ. ჩიქობავა.

ლექსიკონის ტირაჟია 30.000 ეგზემპლარი 3 მან.

სტამბას ასაწყობად გადაეცა უკანასკნელი მე-8 ტომი. იგი გამოვა 1963 წლის ბოლოს. (საქდესი).

ეს კუნძულ ტესელზე მოხდა

ჩრდილოეთის ზღვაში ჰოლანდიის კუნძულ ტესელზე მოხვედრა ადვილი როდია. ერთადერთი პუნქტი სანაპიროზე, საიდანაც ბორანი დადის, პატარა ქალაქი დენ-ჰელდერი — აკრძალული ადგილია საბჭოთა ჟურნალისტებისათვის. აქ სამხედრო-საზღვაო ბაზაა.

სსრ კავშირის სამხედრო ატაშე ნიდერლანდში, საბჭოთა საელჩოს ორი თანამშრომელი და მე კუნძულზე მივდიოდით სანაპიროს სხვა პუნქტიდან კატარღით, რომელიც თავაზიანად გვათხოვა ჰოლანდიის სახელმწიფო პოლიციამ.

ტესელი შედარებით პატარა კუნძულია. პაწაწინა ნავსადგურს იქით მაშინვე იწყება ჩრდილოეთ ჰოლანდიისათვის ტიპიური პანორამა — ნოყიერი მუქმწვანე მდელოები, რომლებიც თავიანთ ფერებს ზმაორიშიც არ კარგავენ, პატარა წარაფები. მშვიდად დადიან ძალიან დიდი ტესელური ცხვრები — ადგილობრივ მცხოვრებთა შემოსავლის ძირითადი წყარო. გარშემო არ არის არც ფაბრიკების მილები, არც ქარხნების კორპუსები.

ქარის ერთი დაბერვიდან მეორემდე შექმნილ უყრილში ისმის ზღვის მიყრუებული ხმაური. სურათი იმდენად უშფოთველია, რომ როგორღაც არ გჯერა, რომ ეს მყუდრო კუთხე უხვად არის მორწყული საბჭოთა ჯარისკაცების სისხლით, რომლებიც აქ დაეცნენ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას, 1945 წლის აპრილის დღეებში ჰიტლერელებთან უთანასწორო ბრძოლაში.

აი როგორ მოხდა ეს.

ბევრმა ტყვედ ჩავარდნილმა საბჭოთა სამხედრო მოსამსახურემ მარტო ფიზიკური ტანჯვა რაღა იწვნია ჰიტლერულ ბანაკში. შანტაჟს, მოტყუებას, მუქარას და ჰიპნოზის გაქნილი პროპაგანდის სხვა მეთოდებს იყენებდნენ ნაცისტები, რათა ღალატისათვის დაეყოლიებინათ და თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ სამხედრო ტყვეთა ნაწილი. ამას განსაკუთრებით იყენებდნენ არარუსი ეროვნების ადამიანთა მიმართ.

ასე იქნა ჩამოყალიბებული 822-ე ქართული ბატალიონი. ჰიტლერელებმა ბატალიონის შემადგენლობაში შეიყვანეს, გარდა 800 ქართველისა, 400 გერმანელი და გაგზავნეს ბატალიონი ჰოლანდიის ქალაქ ზანდვორტში ზურგის სამსახურის შესასრულებლად. მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ტყვეთა აბსოლუტური უმრავლესობა დარჩა თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებად, რომლებსაც სძულდათ ფაშიზმი და გერმანელი დამპყრობლები. თავისიანებისაგან მოწყვეტილ, მტრებით გარემოცულ ბატალიონში დაიწყო განსაკუთრებული ცხოვრება, რომელსაც გერმანელები ვერ ხედავდნენ. საიდუმლო ბრძოლის ინიციატორი გახდა ევგენი არტემიძე, რომელმაც პოლიტიკური კომისრის ფუნქციები დაიკისრა. ბატალიონმა დაირქვა არალეგალური სახელი: „822-ე ქართული პარტიზანული ბატალიონი“. მან მტკიცე კავშირი დაამყარა ჰოლანდიის წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელებთან. იმ დღეებში საბჭოთა სამხედრო ტყვეებს დიდი დახმარება გაუწია მამაცმა ჰოლანდიელმა ქალიშვილმა ანი ავერინკმა (არალეგალური შერქმეული სახელი ანი კლაინი), ამჟამად ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა და პარლამენტის დეპუტატმა. თავის მხრივ ქართველებმა ფარულად გადასცეს ჰოლანდიელ კომუნისტებს იარაღისა და საომარი მასალის ნაწილი.

1945 წლის 6 თებერვალს ქართული ბატალიონი კუნძულ ტესელზე გადაიყვანეს. არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა შეძლეს ეცნობებინათ ეს ინგლისელებისათვის, და ზანდვორტი, რომელშიც მარტო გერმანელები დარჩნენ, ინგლისელთა ავიაციამ დაბომბა.

ტესელზე ბატალიონს დაევალა თვითონ კუნძულის და იქ წესრიგის დაცვა. წიგნში „ტესელის ტრაგედია“ ამბების საუთარი თვალით მნახველი ჰოლანდიელი მწერალი ვან დერ ფლისი ამ პერიოდის შესახებ წერდა: „გარეგნულად ქართველები გერმანელების მხარეზე იყვნენ. გულში ისინი სიძულვილს ატარებდნენ და თავდახრილნი ელოდნენ შურისძიების შესაძლებლობას“.

4 აპრილს ცნობილი გახდა: ბატალიონის ნახევარს ფრონტზე გზავნიდნენ. საჭიროა აჯანყების დაუყოვნებლივ დაწყება, განაცხადა არალეგალურ თათბირზე ევგენი არტემიძემ. ჩვენ შევძლებდით ბრძოლით გავსულიყავით ჩვენებამდე, მთელი ბატალიონი რომ გაეგზავნათ ფრონტზე. ახლა კი გერმანელებს შეუძლიათ შერი იძინონ ჩვენს ამხანაგებზე, რომლებიც კუნძულზე დარჩებიან.

სხდომაზე დაამტკიცეს აჯანყების გეგმა. ბატალიონი დაყოფილ იქნა ექვს ასეულად, თვითეულს მიეცა დავალება მოესპო ჰიტლერელები კუნძულის სხვადასხვა ნაწილში. აჯანყების შეთაურობა დაევალა შალვა ლოლაძეს— ყოფილ მფრინავს, ესკადრილიის მეთაურს, რომლის თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა საჰაერო ბრძოლის დროს უკრაინაში და რომელსაც რამდენიმე საკონცენტრაციო ბანაკში ჰქონდა გამოვლილი მძიმე ტანჯვა. შეთქმულებულ ოპერაციას ეწოდა „დაბადების დღე“.

აჯანყება დაიწყო 8 აპრილს ღამის ბერველ საათზე. აჯანყებულებმა შეძლეს უხმაუროდ მოესპოთ ჰიტლერელთა გარნიზონის მეტი ნაწილი, მაგრამ ჰიტლერელთა მცირე ნაწილმა მაინც შეძლო გაჩეცულიყო მატერიკზე და განგაში ეტეხა. გარდა ამისა, მათ შეინარჩუნეს ორი საარტილერიო ბატარეა, რომლებმაც შემდეგში საბედისწერო როლი შეასრულეს.

დილით კუნძულზე გადმოსხდომა დაიწყო გერმანელთა დიდმა დესანტმა. გადარჩენილმა ბატარიებმა მატერიკზე დადგმულ სანაპირო ქვემეხებთან ერთად გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს კუნძულის ცენტრალურ ნაწილს, სადაც ქართველები იყვნენ გამაგრებულნი. მარტო დასახლებულ პუნქტ დენ-ბურტს დაყარეს 1.800-ზე მეტი ყუმბარა.

საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანელები შეტევაზე გადავიდნენ. ცოცხლად დარჩენილი 400 ტყვის წინააღმდეგ, რომელთა განკარგულებაში იყო მხოლოდ 4 გრანატმყორცნი, 1 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი და 2 მძიმე ტყვიამფრქვევი, ჰიტლერელებმა გამოიყვანეს სამი ბატალიონი 3.600 კაცის შემადგენლობით, რომლებსაც საარტილერიო ბატარიები ეხმარებოდნენ.

აჯანყებულები წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს და ელოდნენ დახმარებას ინგლისელთა მხრივ, სრუტით, რომლის სიგანე ამ ადგილას 240 კილომეტრს აღწევს. ბრიტანეთის კუნძულებისაკენ გაემგზავრა მამაცთა რაზმი სამი ქართველისა და ათი ჰოლანდიელის შემადგენლობით. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მოტორიანი მაშველი ნავით მიაღწევდნენ ნაპირს და შეატყობინებდნენ, რომ დაიწყო აჯანყება. მამაცები გაუხსტენენ გერმანელ სანჭვაო მონადირეებს, რომლებიც ამ რაიონში დაძრწოდნენ, და მიზანს მიაღწიეს, მაგრამ იქ მათ მწარე იმედგაცრუება ელოდათ. იქ ჩასული ჰოლანდიელები და ქართველები ლტოლვილთა სატრანზიტო ბანაკებში გაგზავნეს და მათი ცნობისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუციათ.

ამასობაში აჯანყებულნი სისხლით იცლებოდნენ. ნაცისტებმა ხელთ იგდეს კუნძული და დაიწყეს ნადირობა მთაში გაფანტულ, ადგილობრივ მოსახლეობაში თავშეფარებულ ქართველებზე. ადამიანები ტყვედ არ მიჰყავდათ. დაჭრილი, ქანცგამოლეული ადამიანები თავშესაფრებიდან გამოჰყავდათ და ხვრეტდნენ. დაფარვისათვის დახვრეტილ იქნა რამდენიმე ათეული ჰოლანდიელი, ხოლო მათი სახლები გადაწვეს.

ქართველთა ნაწილი გადარჩა. ზოგი თავიანთ სახლებში დამალეს ჰოლანდიელებმა, ზოგმა თავშესაფარი ჰპოვა ბუნქრებიით დაფარულ დიუნებში. ღამეობით ჰოლანდიელ ქალებს მიჰქონდათ იქ საჭმელი და წყალი.

მხოლოდ 20 მაისს, როცა კუნძულზე ჩასულმა კანადელთა ნაწილებმა განაიარაღეს ჰიტლერელთა გარნიზონი, ქართველები თავშესაფრებიდან გამოვიდნენ. ისინი სულ ცოტაღა დარჩნენ. 800 კაციდან 565 ჰოლანდიის მიწაში წევს. ჰიტლერელთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში კუნძულზე დაიღუპა აგრეთვე 170-მდე ჰოლანდიელი.

...სწორ რიგებად ჩამწკრივებულია ძმათა სასაფლაოები მყუდრო ჩრდილიან სასაფლაოზე, სადაც სათუთად გადაასვენეს დაღუპულთა ნეშტი. ძეგლის ძირში ლოლაძის საფლავია. იგი მათი მეთაური იყო უკანასკნელ წუთამდე.

კუნძულის მცხოვრებნი პატივს სცემენ დაღუპულთა ხსოვნას. ყოველ წელიწადს 4 მაისს მერიე მსოფლიო ომის მსხვერპლთა ხსოვნის ერთგულ დღეს სასაფლაოს უვავილებით ამკობენ. გვირგვინები მოაქვთ ადგილობრივ მცხოვრებლებს, საბჭოთა საელჩოსა და ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლებს.

ტესელიდან საღამოს ვბრუნდებოდით. „იქიდან მოდიხართ? — გვკითხა ტაქსის შოფერმა და თავი სასაფლაოსაკენ მიიბრუნა. — ბევრ მათგანს ვიცნობდი. ისინი დაიღუპნენ, როგორც გმირები“.

ო. პივოვაროვი,
საკდესის კორესპონდენტი.

ჭ. ჰაპაბა.
„კრასნაია ზვეზდა“, 8 იანვარი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ

ევროპის სნაიპერები

ეროვნული ნაკრების რომელი თავდამსხმელი იყო ყველაზე მოედგიანი ევროპაში 1962 წლისათვის?! აღმოჩნდა, რომ პირველი ადგილი დარჩა დანიის ნაკრების ცენტრფორვარდს ოლე მადსენს. მან 8-ჯერ ითამაშა ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში და არ ყოფილა შემთხვევა, რომ გოლი არ გაეტანოს. ორ მატჩში ოლე მადსენმა სამ-სამი გოლიც კი გაიტანა. ასეთი დიდი შედეგიანობა ევროპის არცერთ სხვა თავდამსხმელს არ ჰქონია.

აი სნაიპერების სია, სადაც გათვალისწინებულია მხოლოდ ნაკრებთა მატჩები:

მადსენი (დანია) — 13 ბურთი, ტახი (უნგრეთი) — 9 ბურთი, გრივსი (ინგლისი), გალიჩი (იუგოსლავია), მამიკინი (სსრ კავშირი) და ეწოსუნი (დანია) — შვიდ-შვიდი ბურთი. ფლაუერსი (ინგლისი), შერერი (ჩეხოსლოვაკია) — ექვსექვსი ბურთი, ერკოვიჩი (იუგოსლავია), ივანოვი (სსრ კავშირი), ლო (შოტლანდია), ალბერტი (უნგრეთი), შრეტერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ვან დერ ლინდენი (ჰოლანდია), ბერტელსენი (დანია) — ხუთ-ხუთი ბურთი.

ერთ მატჩში დიდი შედეგიანობის რეკორდი მკუთვნის იტალიის ნაკრების მარკვენა გარემაბს ორლანდოს, რომელმაც თურქებთან შეხვედრაში 4 ბურთი გაიტანა.

ბევერვიიკის ტურნირგე

ინგლანდიის ქ. ბევერვიკში დაიწყო საერთაშორისო საქადრაკო ტურნირი „უმაღლეს დონეზე“, ანუ გროსმაისტერთა მონაწილეობით. ბრძოლაში ჩაება 7 ქვეყნის 18 წარმომადგენელი. მათ შორის არიან საბჭოთა გროსმაისტერები ი. ავერბახი და დ. ბრონშტეინი.

სტარტზე წარმატებით გამოვიდა იუგოსლავიელი მოჭადრაკე მატანოვიჩი, რომელმაც ორი გამარჯვება მოიპოვა ზედიზედ. ბრონშტეინმა პირველ ტურში დაამარცხა მეტოქე და გათამამებულს ცხრილში ქულა ჩაუწერა, ხოლო ავერბახმა პირველი ტურის პარტია ყურმით დაამთავრა.

„მფრინავი ტორპედოების“ სტარტი

კავგოლოვოს საერთაშორისო ტურნირის მონაწილე მოთხილამურეები მოსკოვს ეწვივნენ და გუშინ აქ დიდ ტრამპლინზე ერთხელ კიდევ ჰქონდათ სპორტული პაექრობა.

ესენი იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, ფინეთისა და სსრ კავშირის ტრამპლინიდან ხტომის ოსტატები, ანუ როგორც მათ უწოდებენ „მფრინავი ტორპედოები“.

მართალია, პ. კოვალენკოს ნახტომი — 72,5 კარგი აღმოჩნდა, მაგრამ ორი ცდის ჯამით ბაკურიანელ კობა წულაძეს აქ ბადალი არ ყავდა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ნ. კამენსკი.

კავგოლოვოსა და მოსკოვის ტრამპლინებზე გამართულ შეხვედრათა შედეგების ჯამით პირველი ადგილი ნ. კამენსკიმ დაიკავა.

კომუნისტი

ფართოეკრანიანი კინოთეატრი

ზუგდიდი. (საქ. კორ.). დიდი ხანი არ არის, რაც ზედა ეკერში მცირეძალოვან კოლმეურნეობათა ბაზაზე შეიქმნა ჩაის საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობის კოლექტივის ენერგიული შრომით ყოველთვის წარმატებით სრულდება საწარმო-სამეურნეო სამუშაოები.

ზედა ეკერში მეურნეობამ ააშენა ახალი კომფორტაბელური სახლები, კანტორა, ბანაო, კლუბი და სხვ.

ამ დღეებში სოფლის ახალ კლუბში, რომელიც 450 მაყურებელს იტევს, დაიდგა ფართოეკრანიანი კინოდანადგარი. სოფლის მცხოვრებნი თითქმის ყოველდღე ახალ კინოსურათებს ნახულობენ.

სურათზე: სინთეზური სახლი.

ახალი ლიდერი

რესპუბლიკურ ცენტრალურ საქადრაკო კლუბში გრძელდება თბილისის ჩემპიონება ჯადოკრში ეთვა შორის. 10 იანვრამდე გათამაშდა რვა ტური. უკანასკნელ შეხვედრათა შედეგებმა თვალსაჩინო ცვლილებები შეიტანა გათამაშების ცხრილში. ახლა ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს.

მერვე ტურში უურადღების ცენტრში იდგა ჰ. არნშტეინი და ი. ჩიქოვანის პარტია. ჰ. არნშტეინი წარმატებით იბრძოდა და გაიმარჯვა. ი. ჩიქოვანმა პირველი დამარცხება განიცადა და დაკარგა ლიდერობა. ი. ვეტოხინმა მოუგო ე. გერსიმას, გ. კალატოზიშვილმა — ა. ხელაშვილს, ო. ელიოზიშვილ - მ. გრიგორიანისა და თ. კიკიან - გ. მაშავარიანის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

8 ტურის შემდეგ ლიდერი გახდა გ. კალატოზიშვილი, რომელსაც 6 ქულა აქვს. თ. კიკიანს და ჰ. არნშტეინს ხუთ-ხუთი ქულა აქვთ შვედიდან.

ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫ